

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!

ცოდნისა

აუდიტური კონსერნი

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2018

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	4
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	10
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	13
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	14
1. ძირითადი ინფორმაცია	14
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	14
3. მომზადების საფუძველი	14
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	16
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24
6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	24
7. გადახდილი ავანსები	24
8. მარაგები	25
9. გადასახადები	25
10. ძირითადი საშუალებები	26
11. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	28
12. მიღებული ავანსები	28
13. გადასახდელი დივიდენდები	28
14. მიღებული გრძელვადიანი სესხები და გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	29
15. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	29
16. საწესდებო კაპიტალი	29
17. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	29
18. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	30
19. მიწოდების ხარჯები	30
20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31
21. ფინანსური ხარჯები	31
22. მოგება (ზარალი) სავალუტო საკურსო სხვაობებიდან	32
23. სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	32
24. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	33
25. რისკების მართვა	33
26. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	36
27. გაუთვალისწინებელი გარემოებები	37
28. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	38

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2018 წლის 24 სექტემბერს:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ახალი ნათების“ მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ახალი ნათების“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 202066156) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიამ 2018 წლის აგვისტოში ჩაატარა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია, რის შედეგად გამოვლინდა უმნიშვნელო დანაკლისი 4 ათასი ლარის ოდენობით. გამოვლენილი დანაკლისი კომპანიამ დაბეგრა დამატებული ღირებულებისა და მოგების გადასახადებით და დაადეკლარირა მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

შპს „ახალი ნათება“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 2

კომპანიის 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია ჩვენი აუდიტური კომპანიის მიერ და გამოთქმულია მოდიფიცირებული მოსაზრება ამ ანგარიშგების შესახებ 2015 წლის 28 მარტს. 2014, 2015 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა. 2016 წლის საანგარიშგებო წლის მონაცემები და მათ შორის 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწყისი ნაშთები აუდიტირებულია 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედრის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და

შპს „ახალი ნათება“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 3

ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2017 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „ახალი ნათება“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 4

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი

შპს „ახალი ნათება“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 5

მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

24 სექტემბერი, 2018 წელი

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016	შენიშვნა
	GEL	GEL	GEL	
მიმდინარე აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	115,446	71,752	63,709	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	355,246	497,101	269,142	6
გადახდილი ავანსები	721,632	660,517	457,908	7
მარაგები	9,652,325	9,020,870	8,220,331	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	93,598	9,676	636	9
სხვა მიმდინარე აქტივები	59,456	32,555	33,914	
მიმდინარე აქტივები სულ:	10,997,703	10,292,470	9,045,640	
გრძელვადიანი აქტივები :				
ძირითადი საშუალებები	8,173,232	7,890,407	6,890,839	10
არამატერიალური აქტივები	114,377	132,874	33,901	
ბიოლოგიური აქტივები	36,569	33,682	30,112	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	35,276	35,276	35,276	
გრძელვადიანი აქტივები სულ:	8,359,453	8,092,238	6,990,128	
აქტივები სულ:	19,357,156	18,384,708	16,035,767	
მიმდინარე ვალდებულებები:				
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,057,190	1,189,797	754,226	11
მიღებული ავანსები	451,001	260,580	224,847	12
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	165,525	3,509,620	2,706,625	14
გადასახდელი გადასახადები	226,722	167,827	99,216	9
გადასახდელი დივიდენდები	266,360	117,632	-	13
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12,019	10,942	53,830	
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	2,178,817	5,256,397	3,838,744	
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
მიღებული გრძელვადიანი სესხები	4,109,511	841,000	629,367	14
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-	178,460	
გრძელვადიანი გადასახდელი დივიდენდები	296,009	562,368	680,000	13
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	11,056	21,005	-	15
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	4,416,576	1,424,374	1,487,826	
ვალდებულებები სულ:	6,595,393	6,680,770	5,326,570	
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000	2,000	16
გაუნაწილებელი მოგება	12,759,762	11,701,938	10,707,197	
მ.შ მიმდინარე წლის მოგება	1,057,824	994,741	-	
კაპიტალი სულ:	12,761,762	11,703,938	10,709,197	
ვალდებულებები და კაპიტალი სულ:	19,357,156	18,384,708	16,035,767	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 24 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 37-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2017 GEL	2016 GEL	შენიშვნა
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	18,245,401	17,023,929	17
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(10,418,055)	(9,659,808)	18
საერთო მოგება	7,827,346	7,364,121	
მიწოდების ხარჯები	(4,397,514)	(3,728,255)	19
ცვეთის ხარჯები	(823,113)	(733,723)	
გაუფასურების რეზერვის ხარჯები	(3,208)	(32,811)	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,330,976)	(1,299,311)	20
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	1,272,536	1,570,021	
ფინანსური შემოსავალი	89,879	1,748	
ფინანსური ხარჯები	(350,037)	(322,177)	21
მოგება / (ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	(129,159)	(456,185)	22
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	174,605	47,810	23
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	(214,712)	(728,804)	
მოგება დაბეგვრამდე:	1,057,824	841,217	
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(24,936)	
საგადასახადო შემოსავალი	-	178,460	
მოგება დაბეგვრის შემდეგ :	1,057,824	994,741	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება:	1,057,824	994,741	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 24 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 37-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2017 GEL	2016 GEL
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	21 382 605	19 495 489
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-	4 647
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები	-	4 110
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(13 636 233)	(12 920 021)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(2 253 187)	(2 130 351)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	(93 676)	(109 933)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(5 946)	-
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(3 596 978)	(3 146 189)
გადახდილი მოგების გადასახადი	(57 860)	(174)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(75 601)	(59 184)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	1 663 125	1 138 393
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(1 108 833)	(1 439 299)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი	123 676	1 316
სესხების გაცემა	-	(1 900)
გაცემული სესხების დაბრუნება	-	1 900
მიღებული პროცენტები	113	1 144
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(985 044)	(1 436 839)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	13 798 778	13 914 182
სესხების დაფარვა	(13 964 947)	(13 285 778)
გადახდილი პროცენტები	(328 056)	(314 125)
გადახდილი დივიდენდები	(111 750)	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(605 974)	314 279
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(28 412)	(7 791)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	43 694	8 043
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	71 752	63 709
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	115 446	71 752

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 24 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 37-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი GEL	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი GEL	სულ საკუთარი კაპიტალი GEL
ნაშთი 01.01.2016-თვის	2 000	10 707 197	10 709 197
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	994 741	994 741
ნაშთი 31.12.2016-თვის	2 000	11 701 938	11 703 938
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	1 057 824	1 057 824
ნაშთი 31.12.2017-თვის	2 000	12 759 762	12 761 762

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 24 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 37-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „ახალი ნათება“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 1999 წლის 18 ოქტომბერს ქ. თბილისის დიდუბის სასამართლოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 202066156. იურიდიული მისამართია - ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., №25ა. კომპანიის გენერალური დირექტორი - ზურაბ გაბინაშვილი, აღმასრულებელი დირექტორი - თემური არდოტელი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გასანათებელი საშუალებების, ავეჯისა და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია, როგორც საბითუმო ისე საცალო ქსელში, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანიას გააჩნია 16 მაღაზია-სალონი. ამათგან 10 მდებარეობს ქ. თბილისში, ხოლო 6 - საქართველოს სხვა რეგიონებში.

კომპანიის ერთადერთი 100%-იანი წილის მფლობელია ზურაბ გაბინაშვილი (პ.ნ. 01019002369).

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

3. მომზადების საფუძველი

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

ბ) საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

გ) წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში. საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსები 2015, 2016 და 2017 წლების ბოლო დღის მდგომარეობით:

	31.12.2017	31.12.2016	31.12.2015
ლარი / 1 USD	2.5922	2.6468	2.3949
ლარი / 1 EUR	3.1044	2.794	2.6169

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე, უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები და საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და თამასუქებიდან და სხვა შემოსავალი. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს.

გადავადებული მოგების გადასახადი ან გადავადებული საგადასახადო აქტივი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილ აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

კომპანიის მიმდინარე მოგების გადასახადი 2017 წლამდე გამოითვლება საგადასახადო მოგების (საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლებსა და გამოსაქვით ხარჯებს შორის სხვაობის) და მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთის გამოყენებით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა), არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

ვ) მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია.

კომპანია აღრიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა	
შენობები და სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	- 20 წელი
მანქანა-დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული მოწყობილობები, ავეჯი, ინვენტარი, მსუბუქი ავტომობილები, სხვა ავტოტრანსპორტი	- 5 წელი
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები, ელექტროგადაცემის მოწყობილობები და სხვა მოწყობილობები	- 12,5 წელი
გათბობა-გაგრილების სისტემა	- 10 წელი
კავშირგაბმულობის საშუალებები	- 4 წელი
მოწყობილობები	- 2,5 წელი
განუსაზღვრელ ვადიანი არამატერიალური აქტივები	- 6,67 წელი

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

თ) ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ არსებობს რამე შემთხვევის ან შემთხვევების შედეგად გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი მენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

• კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

კ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

ლ) აქტივების გაუფასურება

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

მ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ნ) ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და ჯერ არ არის დანერგილი

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ხელმძღვანელობა არ მოელოს, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

– ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“;

ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სახელმძღვანელო მითითებებს და ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას, ფინანსური აქტივების გაუფასურების გაანგარიშებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალი მოდელის და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი ზოგად მოთხოვნების ჩათვლით. მას ასევე გადმოაქვს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტის სახელმძღვანელო მითითებები ბასს 39-დან. კომპანია აფასებს პოტენციურ ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ ამას არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

– ფასს 15 - „შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“;

ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის შემოსავლების აღიარების არსებულ სახელმძღვანელო მითითებას, მათ შორის ბასს 18 „შემოსავლები“, ბასს 11 „სამშენებლო კონტრაქტები“ და IFRIC 13 „კლიენტების მიმართ ლოიალურობის პროგრამები“ და ადგენს ყოვლისმომცველ ჩარჩოს იმის განსაზღვრად, თუ რამდენად, რა რაოდენობით და როდის ხდება შემოსავლის აღიარება ხუთეტაპიანი მოდელის შემოღებით. წინასწარი შეფასებების საფუძველზე ამ შესწორებების და ინტერპრეტაციების მიღებას, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე თუ გამჟღავნებულ ინფორმაციაზე.

– ფასს 16 - „იჯარა“.

2015 წლის იანვარში, ბასს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 16 „იჯარა“, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება. ფასს 16-ის გამოყენება შეიძლება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16 მოითხოვს, რომ მოიჯარებმა იჯარები აღრიცხონ სტანდარტის ფარგლებში იმის ანალოგიურად, როგორც ამჟამად აღრიცხება ფინანსური იჯარა ბასს 17-ის „იჯარა“ მიხედვით. მოიჯარეები აღიარებენ აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც ბასს 17 ითვალისწინებს. კომპანია არ მოელის ფასს 16-ის ვადაზე ადრე მიღებას და ამ ეტაპზე აფასებს ფასს 16-ის გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ნაღდი ფული სალაროში	34 750	20 223	28 884
ნაღდი ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	80 696	51 528	34 825
	115 446	71 752	63 709

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს 5 კომერციულ ბანკში - სს „პროგრესიტი ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „ვითიბი ბანკი“, სს „ტერაბანკი“.

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ადგილობრივი დამკვეთები	399,869	538,681	277,911
უიმედო მოთხოვნები	(44,623)	(41,581)	(8,769)
	355,246	497,101	269,142

კომპანიის ძირითად მომხმარებლებს შეადგენენ ფიზიკური პირები. კომპანია ახორციელებს საქონლის იმპორტს და მათ შემდგომ რეალიზაციას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული 15 მაღაზიის საშუალებით.

7. გადახდილი ავანსები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ავანსები ადგილობრივ მომწოდებლებზე	66 530	82 618	72 189
ავანსები არარეზიდენტ მომწოდებლებზე	655 102	577 899	385 720
	721 632	660 517	457 908

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

8. მარაგები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
გასაყიდად გამიზნული საქონელი	9 604 101	8 958 881	8 138 697
საქონელი მარკეტინგული მიზნებისთვის	16 448	25 497	32 368
საწვავის მარაგი	7 869	5 114	5 406
სხვა მარაგები	23 907	31 378	43 860
	9 652 325	9 020 870	8 220 331

9. გადასახადები

2016 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო ორგანოში არსებობდა სხვადასხვა სააღრიცხვო ბარათები სხვადასხვა გადასახადების მიხედვით. შესაბამისად, შესაძლებელი იყო, რომ ერთ გადასახადში კომპანიას ჰქონოდა გადასახადის ზედმეტობა, ხოლო მეორე გადასახადში - საგადასახადო დავალიანება.

2016 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და საწარმოს დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ ავტომატურად აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.

კომპანია ძირითადად ხუთი ტიპის გადასახადის გადამხდელია: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი და საბაჟო გადასახადები.

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ			
დადეკლარირებული ან დასადეკლარირებელი გადასახადები	362 474	277 613	108 390
ჩასათვლელი აქტივები	(93 598)	(9 676)	(636)
გამოცხადებულ დივიდენდებზე დარიცხული გადაუხდელი მოგების გადასახადი	9 400	3 930	-
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(145 152)	(113 716)	(9 174)
	133 124	158 151	98 580

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

10. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	შენობები	ელექტროგა დაცემის მოწყობილო ბები	გათბობა- გაგრილების სისტემა	ავიჯი და ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	ელექტრონული და სხვა მოწყობილობები	მსუბუქი ავტომობილები	სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	802 421	1 326 951	5 442 053	104 582	287 225	327 168	161 020	1 150 899	714 350	133 270	425 084	108 301	10 983 324
დამატება	1 042 975	254 682	1 336 265	-	44 031	8 497	8 393	53 615	443 664	43 600	52 848	4 558	3 293 128
(გასვლა)	(714 775)	(1 468 117)	-	-	-	(7 055)	-	-	(238 133)	(26 178)	-	-	(2 454 258)
სულ ისტორიული ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 130 621	113 516	6 778 318	104 582	331 257	328 610	169 414	1 204 515	919 880	150 693	477 931	112 859	11 822 194
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(942 924)	(44 680)	(73 632)	(233 901)	(119 984)	(708 700)	(427 778)	(113 314)	(369 312)	(58 692)	(3 092 917)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-	-	(288 806)	(8 367)	(30 712)	(32 992)	(16 132)	(190 596)	61 820	14 613	(49 983)	(14 890)	(556 045)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(1 231 730)	(53 047)	(104 345)	(266 894)	(136 116)	(899 297)	(365 957)	(98 701)	(419 294)	(73 582)	(3 648 962)
ნარჩენი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 130 621	113 516	5 546 587	51 535	226 912	61 716	33 298	305 218	553 923	51 991	58 637	39 277	8 173 232

შპს „აბალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	შენობები	ელექტროგა დაცემის მოწყობილო ბები	გათბობა- გაგრილების სისტემა	ავიჯი და ინვენტარი	კომპიუტერ ული ტექნიკა	ელექტრონუ ლი და სხვა მოწყობილობ ები	მსუბუქი ავტომობი ლები	სხვა ავტოსატრანს პორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყო ბა	სხვა ამორტიზება დი პირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება													
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	802 421	223 664	5 310 020	104 582	250 447	312 635	142 890	900 805	555 567	133 270	421 079	105 183	9 262 563
დამატება	809 092	2 192 682	132 033	-	36 779	14 680	18 130	251 469	158 783	-	4 004	3 118	3 620 769
(გასვლა)	(809 092)	(1 089 395)	-	-	-	(147)	-	(1 374)	-	-	-	-	(1 900 008)
სულ ისტორიული ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	802 421	1 326 951	5 442 053	104 582	287 225	327 168	161 020	1 150 899	714 350	133 270	425 084	108 301	10 983 324
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება													
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(676 873)	(36 313)	(35 134)	(194 799)	(103 548)	(548 578)	(321 650)	(102 462)	(307 787)	(44 579)	(2 371 724)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-	-	(266 051)	(8 367)	(38 499)	(39 103)	(16 436)	(160 122)	(106 128)	(10 852)	(61 525)	(14 112)	(721 193)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(942 924)	(44 680)	(73 632)	(233 901)	(119 984)	(708 700)	(427 778)	(113 314)	(369 312)	(58 692)	(3 092 917)
ნარჩენი ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	802 421	1 326 951	4 499 129	59 902	213 593	93 266	41 037	442 199	286 572	19 956	55 772	49 609	7 890 407
	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	შენობები	ელექტროგად აცემის მოწყობილობე ბი	გათბობა- გაგრილების სისტემა	ავიჯი და ინვენტარი	კომპიუტერუ ლი ტექნიკა	ელექტრონული და სხვა მოწყობილობებ ი	მსუბუქი ავტომობილე ბი	სხვა ავტოსატრანსპორ ტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ამორტიზებადი პირითადი საშუალებები	სულ
ნარჩენი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,130,621	113,516	5,546,587	51,535	226,912	61,716	33,298	305,218	553,923	51,991	58,637	39,277	8,173,232
ნარჩენი ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	802,421	1,326,951	4,499,129	59,902	213,593	93,266	41,037	442,199	286,572	19,956	55,772	49,609	7,890,407
ნარჩენი ღირებულება 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	802,421	223,664	4,633,147	68,268	215,313	117,836	39,342	352,226	233,917	30,808	113,292	60,604	6,890,839

11. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

კომპანიის მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
რეზიდენტი მომწოდებლები	172 762	188 785	202 946
არარეზიდენტი მომწოდებლები	884 428	1 001 013	551 280
	<u>1 057 190</u>	<u>1 189 797</u>	<u>754 226</u>

12. მიღებული ავანსები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ავანსები ადგილობრივი დამკვეთებისგან	451 001	260 580	224 847
	<u>451 001</u>	<u>260 580</u>	<u>224 847</u>

13. გადასახდელი დივიდენდები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
გადასახდელი დივიდენდები	266 360	117 632	-
გრძელვადიანი გადასახდელი დივიდენდები	296 009	562 368	680 000
	<u>562 368</u>	<u>680 000</u>	<u>680 000</u>

გადასახდელი დივიდენდის ვალდებულება მოცემულია ფაქტობრივი გაცემის დროს დასაკავებელი 5%-იანი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

14. მიღებული გრძელვადიანი სესხები და გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი

კომპანიას სს „პროკრედიტ ბანკი“-სგან მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხები - გრაფიკული სესხები და საკრედიტო ხაზები.

კომპანიის კუთვნილ აქტივებზე - მოძრავ ქონებაზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს პროკრედიტ ბანკს (საქართველო) (ს/კოდი 204851197), რომლის საფუძველია მოძრავი ქონების გირავნობის ხელშეკრულება, #37593-011, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 17.06.2013. გირავნობის საგანს წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებული საბრუნავი საშუალებები (რეალიზაციისათვის განკუთვნილი 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ღირებულების სასაქონლო ნაშთი. გირავნობით უზრუნველყოფილია #FW13.9 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოშობილი მოთხოვნა. გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ფარგლებია აღნიშნული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი.

15. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

ეს მუხლი შედგება მომავალში გადასახდელი მოგების გადასახადისაგან, რომელიც მოდის გასაცემი დივიდენდის გრძელვადიანი ნაწილის ხვედრით წილად. ამ გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მაშინ (იმ თვეში), როდესაც შესაბამისი დივიდენდი დაიფარება, ანუ გადახდილი იქნება კომპანიის მიერ.

16. საწესდებო კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2000 ლარს, რომელიც ფულადი ფორმით შევსებულია დამფუძნებლის მიერ. კომპანიას არ მოუხდენია საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება დაარსების მომენტიდან.

17. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან

	2017	2016
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	18 297 621	17 058 293
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(64 202)	(48 638)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	11 982	14 274
	18 245 401	17 023 929

18. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2017	2016
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(10 307 528)	(9 586 313)
კომპენსაციის გარეშე მიწოდებული საქონლის ღირებულება	(110 527)	(73 495)
	(10 418 055)	(9 659 808)

19. მიწოდების ხარჯები

	2017	2016
რეკლამის ხარჯები	(556 358)	(366 324)
შრომის ანაზღაურება მიწოდებაზე	(2 270 172)	(2 068 510)
ფიზიკურ პირებზე გაცემული ანაზღაურება	(11 933)	(16 298)
კომპენსაციის გარეშე განაცემები	(182 570)	(7 875)
იჯარის ხარჯები	(924 593)	(780 111)
კომუნალური ხარჯები	(168 445)	(151 375)
სამეურნეო ხარჯები მიწოდებაზე	-	(320)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები მიწოდებაზე	(7 800)	(4 575)
საწვავის ხარჯები მიწოდებაზე	(56 282)	(34 247)
ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხარჯები	(31 305)	(34 151)
კომპიუტერის ხარჯები მიწოდებაზე	(8 669)	(7 478)
რემონტის ხარჯები	(13 488)	(16 416)
დაცვის ხარჯები	(15 792)	(15 900)
მიწოდების სხვა ხარჯები	(150 108)	(224 675)
	(4 397 514)	(3 728 255)

იჯარის ხარჯები, კომუნალური ხარჯები და დაცვის ხარჯები ძირითადად დაკავშირებულია სამალაზიე ფართობთან.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
შრომის ანაზღაურება	(663 106)	(615 921)
ინვენტარის ხარჯები	(2 939)	(2 532)
საკანცელარიო ხარჯები	(9 562)	(7 877)
სამეურნეო ხარჯები	(43 849)	(46 055)
კომუნიკაციის ხარჯები	(25 663)	(26 732)
საწვავის ხარჯები	(21 409)	(17 735)
კომპიუტერის ხარჯები	(8 669)	(7 478)
საკონსულტაციო ხარჯები	(52 849)	(40 199)
საგადასახადო ხარჯები	(72 450)	(67 370)
სადაზღვევო ხარჯები	(31 605)	(26 838)
საბანკო ხარჯები	(170 020)	(121 453)
მივლინების ხარჯები	(144 466)	(166 723)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(40 307)	(36 983)
საქველმოქმედო ხარჯები	(1 632)	(87 921)
სხვა ხარჯები	(42 451)	(27 493)
	(1 330 976)	(1 299 311)

21. ფინანსური ხარჯები

	2017	2016
საპროცენტო ხარჯები	(328 056)	(314 125)
სხვა ფინანსური ხარჯები	(21 981)	(7 669)
არასაოპერაციო ზარალი ძს რეალიზაციიდან	-	(384)
	(350 037)	(322 177)

22. მოგება (ზარალი) სავალუტო საკურსო სხვაობებიდან**2017 წელი**

	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	114	(49)	65
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	(568)	(568)
სხვა აქტივები	29 607	(81 647)	(52 040)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	29 720	(82 264)	(52 543)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	21 402	(13 518)	7 884
გადასახდელი სესხები	264 483	(355 069)	(90 586)
სხვა ვალდებულებები	7 868	(1 779)	6 086
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	293 753	(370 365)	(76 616)
სულ	323 474	(452 629)	(129 159)

2016 წელი

	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	326	(569)	(242)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	(139)	(139)
სხვა აქტივები	26 489	(53 508)	(27 019)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	26 815	(54 215)	(27 400)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4 626	(38 953)	(34 327)
გადასახდელი სესხები	147 848	(534 072)	(386 224)
სხვა ვალდებულებები	2 232	(10 466)	(8 234)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	154 705	(583 491)	(428 785)
სულ	181 521	(637 706)	(456 185)

23. სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)

	2017	2016
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-	(7 458)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	174 616	55 323
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(11)	(54)
	174 605	47 810

24. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

25. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროს, აშშ დოლარისა და რუსული რუბლის მიმართ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

	31.12.2017			
	EUR	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	6	-	9
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-	-	-
სხვა აქტივები	119 617	533 429	-	653 046
აქტივები სულ:	119 619	533 435	-	653 055
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(264 291)	(616 593)	(3 173)	(884 057)
მიღებული სესხები	(1 888 219)	(2 386 818)	-	(4 275 036)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(3 469)	-	-	(3 469)
ვალდებულებები სულ:	(2 155 979)	(3 003 410)	(3 173)	(5 162 563)
ნეტო შედეგი	(2 036 360)	(2 469 975)	(3 173)	(4 509 508)
USD (10% ცვლილება)	(246 998)			
EUR (10% ცვლილება)	(203 636)			
RUB (10% ცვლილება)	(317)			

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

31.12.2016				
	EUR	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	282	259	-	541
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	-	-	-
სხვა აქტივები	54 891	526 841	-	581 732
აქტივები სულ:	55 173	527 100	-	582 273
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(801 695)	(199 318)	-	(1 001 013)
მიღებული სესხები	(1 661 998)	(2 688 621)	-	(4 350 619)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(5 926)	-	-	(5 926)
ვალდებულებები სულ:	(2 469 619)	(2 887 939)	-	(5 357 558)
ნეტო შედეგი	(2 414 446)	(2 360 839)	-	(4 775 285)
USD (10% ცვლილება)	(236 084)			
EUR (10% ცვლილება)	(241 445)			
RUB (10% ცვლილება)	-			
01.01.2016				
	EUR	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2	6	-	8
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		3 449	-	3 449
სხვა აქტივები	61 266	326 597	-	387 863
აქტივები სულ:	61 268	330 052	-	391 320
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(496 314)	(54 966)	-	(551 280)
მიღებული სესხები	(1 181 176)	(2 154 816)	-	(3 335 991)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(2 924)	-	-	(2 924)
ვალდებულებები სულ:	(1 680 414)	(2 209 782)	-	(3 890 196)
ნეტო შედეგი	(1 619 146)	(1 879 729)	-	(3 498 875)
USD (10% ცვლილება)	(187 973)			
EUR (10% ცვლილება)	(161 915)			
RUB (10% ცვლილება)	-			

26. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები

პარტნიორთან და ძირითად მენეჯმენტთან

1 ლარის სიზუსტით

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2017	დაუფარავი ნაშთი 31.12.2016	დაუფარავი ნაშთი 01.01.2016	ტრანზაქციის ღირებულება 2017 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2016 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2 572	-	-		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	6 500	10 500		
წარმოქმნილი ვალდებულებები					
დივიდენდები	562 368	680 000	680 000	(117 632)	-
შემოსავალი რეალიზაციიდან				2 179	-
ოჯარის ხარჯები				(121 017)	(106 780)
ხელფასის ხარჯები				(213 828)	(198 728)
მივლინების ხარჯები				(37 709)	(55 423)

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ

მხარეებთან

1 ლარის სიზუსტით

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2017	დაუფარავი ნაშთი 31.12.2016	დაუფარავი ნაშთი 01.01.2016	ტრანზაქციის ღირებულება 2017 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2016 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	240	270	270		
გადახდილი ავანსები	23 000	-	-		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან					
წარმოქმნილი ვალდებულებები	2 301	42 056	27 123		
სხვა საოპერაციო შემოსავლები				3 589	847
მარაგები				38 025	3 198
ძირითადი საშუალებები				169	-
ოჯარის ხარჯები				(241 390)	(245 390)
ხელფასის ხარჯები				(58 974)	(52 843)
მივლინების ხარჯები				(35 108)	(34 275)

27. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისებრივი სიახლე

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

და საგადასახადო პრაქტიკის არარსებობა ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. მართალია, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, მაგრამ არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.

სასამართლო დაგები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში, კომპანიას გააჩნდა 2 სასამართლო დავა. ერთ შემთხვევაში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“, დავის საგანია პირგასამტეხლოს - 500 ლარის დაკისრება; მეორე შემთხვევაში კი მოპასუხე მხარეს წარმოადგენს შპს „ფურშეტ ჯორჯია“, დავა არის გადახდისუუნარობის საქმის წარმოების თაობაზე - კრედიტორული დავალიანების - 227 ლარის აღიარებაზე.

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2018 წელს აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.-ზე მდებარე ცენტრალურ ფილიალს დაემატა ახალი 1 400 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე ავეჯის, განათებისა და აქსესუარების შოურუმი.

გაცემული იქნა დივიდენდი 213,728 ლარის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

**შპს „ახალი ნათების“ 2017 წლის მმართველობის ანგარიშგება
(საქმიანობის მიმოხილვა)**

**კომპანიის დაარსების ისტორია და ძირითადი ინფორმაცია დამფუძნებლების,
დირექტორებისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ**

კომპანია „ახალი ნათება“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 202066156) დაარსდა 1999 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი სტატუსით ზურაბ გაბინაშვილისა და ირმა გაბინაშვილის მიერ თანაბარი წილობრივი მონაწილეობით, საწესდებო კაპიტალით 2000 ლარი.

კომპანიის გენერალური დირექტორი დაარსების დღიდან არის ზურაბ გაბინაშვილი. 2011 წელს კომპანიის აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა თემურ არდოტელი, რომელიც კომპანიის გენერალურ დირექტორთან ერთად მართავს კომპანიას. ორივე დირექტორი საზოგადოებას წარმოადგენენ როგორც ცალ-ცალკე ერთპიროვნულად, ასევე ერთად.

2012 წელს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელდა ცვლილებები და კომპანიის ერთპიროვნული პარტნიორი გახდა ზურაბ გაბინაშვილი.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი რგოლებისა და მათი ხელმძღვანელების/კოორდინატორების სახით: კომერციული განყოფილება, ფინანსური განყოფილება, მარკეტინგის განყოფილება, პროექტების განყოფილება, იურიდიული განყოფილება, სამეურნეო განყოფილება, IT განყოფილება, უსაფრთხოების განყოფილება, კადრების მართვისა და კოორდინაციის განყოფილება, სასაქონლო მარაგების მართვისა და ლოჯისტიკის განყოფილება.

ქვედა რგოლის მენეჯმენტს შეადგენენ ფილიალების მენეჯერები, რომლებიც ახორციელებენ ფილიალების ოპერატიულ მართვას შესაბამისი ლოკაციების მიხედვით.

კომპანიის მისია და საქმიანობის მიზანი

შპს „ახალი ნათების“ მისია არის მაღალი ხარისხის სერვისთან ერთად თანამედროვედ მოწყობილ კონცეპტუალური შოურუმების მეშვეობით მომხმარებელს შესთავაზოს უმაღლესი ხარისხისა და უახლესი ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქტის ფართო სპექტრი, რომელიც პასუხობს თანამედროვე ტენდენციებს განათების, ავეჯისა და აქსესუარების ინდუსტრიაში. ამ მხრივ კომპანია სისტემატურად დგამს აქტიურ ნაბიჯებს. სერვისის გაუმჯობესების მიზნით წელიწადში რამოდენიმეჯერ ხორციელდება საკადრო პერსონალის გადამზადება როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. სისტემატურად ხდება აქტუალურ საერთაშორისო გამოფენებზე შესაბამისი პროფილის სპეციალისტების მივლინება, რათა მუდმივად ხორციელდებოდეს თანამედროვე კოლექციების პრეზენტაცია ჩვენს შოურუმებში.

კომპანიას აქვს უახლესი IT ტექნოლოგიების გათვალისწინებით დანერგილი ონლაინ რესურსები, როგორებიცაა: IOS და Android ის სისტემებისთვის შექმნილი მულტიფუნქციური მობილური აპლიკაცია; ვებგვერდი, რომელშიც ინტეგრირებულია სასაქონლო მარაგების შესახებ ინფორმაცია, რაც ხელსაყრელ პლატფორმას ქმნის ონლაინ კომერციისთვის; პროდუქციის ადგილზე მიტანის სერვისი; საგარანტიო მომსახურება; თანამედროვე საადრიცხო პროგრამები; მყარი ლოჯისტიკური პლატფორმა, რომელიც შედგება საკუთარი მძლავრი სასაწყობე ინფრასტრუქტურისაგან და ავტოპარკისაგან.

ძირითადი საკითხების მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გამანათებელი საშუალებების, ავეჯისა და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია. სამიზნე სამომხმარებლო სეგმენტს წარმოადგენს საცალო ქსელი და კერძო კორპორატიული სექტორი. განათების სფეროში თითქმის 20 წლიანი მოღვაწეობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ ბაზარზე კომპანია ძლიერად არის წარმოდგენილი და ბრენდის ცნობადობა და პოზიციონირებაც მასშტაბურია. ავეჯისა და აქსესუარების სეგმენტში კომპანიამ დივერსიფიცირება გააკეთა 2013 წლის მიწურულს, ჩამოაყალიბა ბრენდი „ფორუმი ახალი ნათებისაგან“, რომლის მასშტაბები, ცნობადობა და პოზიციებიც ბაზარზე წლიდან წლამდე იზრდება და ვითარდება.

კომპანია ბაზარზე ფართო სავაჭრო ქსელით არის წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს თექვსმეტ სავაჭრო ობიექტს თბილისსა და რეგიონებში. მათგან ცამეტი წარმოადგენს განათების შოურუმს, ხოლო სამ სავაჭრო პავილიონში ინტეგრირებულია განათება, ავეჯი და აქსესუარები. ფილიალების ფართო ქსელი კომპანიას შესაძლებლობას აძლევს გააძლიეროს ბაზარზე პოზიციონირების გეოგრაფიული არეალი და გააუმჯობესოს მომხმარებელთან წვდომა.

ასევე კონკურენტულ უპირატესობას ქმნის მძლავრი საკუთარი სასაწყობო ინფრასტრუქტურა და სასაქონლო მარაგები, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა მოთხოვნების ოპერატიულად დაკმაყოფილებას. განვითარებული მომსახურების სერვისი, საგარანტიო მომსახურება, მრავალფეროვანი მარკეტინგული აქტივობები მომხმარებელთან მაქსიმალური დაახლოების შესაძლებლობას ქმნის.

პროდუქციის ვრცელი ასორტიმენტი და მრავალფეროვანი არჩევანი, როგორც დიზაინის ისე საფასო კატეგორიის კუთხით, სხვადასხვა გემოვნებისა და მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა.

კომპანია თანამშრომლობს ევროპისა და აზიის 100-ზე მეტ სხვადასხვა მომწოდებელთან, მათ შორის ისეთ წამყვან მსოფლიო ბრენდებთან, როგორებიცაა PHILIPS, ARTEMIDE, DELTA LIGHT, EGLO, OSRAM, OPPL, GAUTIER, HULSTA, VONDOM, KOINOR, HACKER, STAINHOFF, FARO BARCELONA და სხვა.

კომპანიის სავაჭრო ნიშნები „ახალი ნათება“, „New Light“, „ფორუმი ახალი ნათებისაგან“, „Forum by New Light“ რეგისტრირებულია „საქპატენტში“.

შპს „ახალი ნათება“ მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიაა, რომლისთვისაც რეპუტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ძირითადში ყველა რითეილ სექტორზე ორიენტირებული კომპანიისთვის, რომელსაც აქვს ხანგრძლივი მოღვაწეობის ისტორია და მზარდი განვითარების დინამიკა. შედეგად კომპანია უკომპრომისოდ აქცენტს აკეთებს ხარისხიანი პროდუქციის წარდგენასა და მომხმარებელთან კეთილსინდისიერი ურთიერთობის დამყარებაზე.

ბრენდის განვითარების მხრივ სისტემატური ზრუნვის საგანია თანამედროვე სერვისების დანერგვა და განვითარება, თამამი გადაწყვეტილების მიღება და ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა.

მართვის მაქსიმალურად მოქნილი და ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის კომპანიის სხვადასხვა რგოლებისთვის გაწერილი და ჩამოყალიბებულია საოპერაციო სტანდარტები და პროცედურები. სწრაფი ოპერირებისათვის აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ დავალებების სწრაფ შესრულებას, ინფორმაციის ეფექტიან მიმოცვლას სხვადასხვა რგოლებს შორის (საწყობო-გაყიდვები-შესყიდვები-ადმინისტრაცია).

კომერციულ განყოფილებაში ფუნქციონირებს მარაგების ანალიტიკური კვლევის ჯგუფი, რომელიც მუდმივ რეჟიმში აკვირდება სასაქონლო მარაგების ბრუნვას და უზრუნველყოფს ლიკვიდური მარაგების დადგენას, რაც თავის მხრივ ხელი უწყობს შესყიდვების გუნდს განახორციელოს მათი ბაზარზე შეუფერხებელი მიწოდება.

შპს „ახალი ნათება“

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით სისტემატურ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები), პერიოდულად - სხვადასხვა სასწავლო პროგრამების სწავლის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება, უტარდება ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით როგორც ადგილზე, ასევე უცხოეთში, დამსახურების მიხედვით ხორციელდება შესაბამისი კადრების დაწინაურება.

კომპანიის ზრდასთან ერთად შესაბამისად იზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც, ამჟამად 170-მდე თანამშრომელია დასაქმებული. კომპანიის მხრიდან ყველა დასაქმებული უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაზღვევით.

შპს „ახალი ნათება“ აქცენტს აკეთებს ბაზარზე ეკოლოგიური და ენერგოეფექტური პროდუქციის აქტიურ დანერგვაზე, ასევე მის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებშიც მაქსიმალურად გამოყენებულია ამ ტიპის ტექნოლოგიები.

კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და ტექნოლოგიები. 24-საათიანი თანამედროვე ციფრული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას.

თანამშრომელთა აღრიცხვის ელექტრონული სისტემა იძლევა ზუსტ და ოპერატიულ ინფორმაციას დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დროის აღრიცხვის კუთხით.

მოწვეულ სპეციალისტთან ერთად, საერთაშორისო გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, აგრეთვე ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით შემუშავებული და დანერგილია შრომის უსაფრთხოების პროცედურები და სტანდარტები.

მძლავრი სასაწყობე-ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა კომპანიის განვითარების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედაა. ამ მხრივ ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების შედეგად კომპანიას აქვს 5 000 კვადრატულ მეტრზე მეტი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი საკუთარი სასაწყობე ინფრასტრუქტურა. მძლავრი და თანამედროვე ავტოპარკი კი უზრუნველყოფს პროდუქციის ოპერატიულ მიმოქცევას ფილიალებს შორის და მომხმარებლებთან ადგილზე მიწოდების ეფექტურ სერვისს.

ფილიალების შესახებ ინფორმაცია

ფილიალები, სადაც წარმოდგენილია ავეჯი, განათება და აქსესუარები:

„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 12 კმ., დაარსების თარიღი - 2013 წელი;

„გოტიე“ - ფრანგული ავეჯის ბრენდის „გოტიეს“ ფრენშიაზ შოურუმი; მისამართი - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 12 კმ., დაარსების თარიღი - 2017 წელი;

„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - ბათუმის ფილიალი, მისამართი: ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის #1, დაარსებულია - 2015 წელს.

ფილიალები, სადაც წარმოდგენილია გამანათებელი საშუალებები:

ახალი ნათების ცენტრალური სავაჭრო პავილიონი - მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 12 კმ., დაარსებულია 2006 წელს;

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 25ა, დაარსებულია 2001 წელს;

ქ. თბილისი, კავსადის ქ. #3, დაარსებულია 2014 წელს;

ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #116, დაარსებულია 2009 წელს;

ქ. თბილისი, დიდუბის (ყიფიანის) ქ. #6, დაარსებულია 1999 წელს;

ქ. თბილისი, შეშელიძის ქ. #45, დაარსებულია 2012 წელს;

ქ. თბილისი, წულუკიძის #11, დაარსებულია 2009 წელს;

ქ. თბილისი, ელიავას ბაზრობის ტერიტორია, სავაჭრო ცენტრი GA, დაარსებულია 1999 წელს, (ლოკაცია შეიცვალა 2011 წელს);

ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის #76, დაარსებულია 2017 წელს;

შპს „ახალი ნათება“

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

- ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის #21, დაარსებულია 2006 წელს (ლოკაცია შეიცვალა 2008 წელს);
- ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის #1, დაარსებულია 2011 წელს;
- ქ. ქუთაისი, აღმაშენებლის #7, დაარსებულია 2007 წელს;
- ქ. გორი, სტალინის #8, დაარსებულია 2007 წელს (ლოკაცია შეიცვალა 2014 წელს).

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და მათი დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

2017 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენს 12,8 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 11 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 8,36 მილიონი ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2016 წელს 17,0 მილიონი ლარი, ხოლო 2017 წელს - 18,2 მილიონი ლარი შეადგინა (ზრდა - 7%).

2016 წლის სახელფასო ფონდმა 2 684,4 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2017 წელს 2 933,3 ათასი ლარი (ზრდა - 9%).

ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2016 წელს გადახდილი აქვს 3 140,9 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს 3 648,1 ათასი ლარი (ზრდა - 16%);

იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის ისტორია სათავეებს იღებს 90-იან წლებში, მისი დამფუძნებლების მიერ ე.წ. „ელიავას“ ბაზრობის დახლიდან მცირე კაპიტალით დაწყებული საქმიანობით, ზემოთ აღწერილი ფინანსური მაჩვენებლები ძალიან წარმატებული შედეგია.

2018 წელს აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ.-ზე მდებარე ცენტრალურ ფილიალს დაემატა ახალი 1 400 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე ავეჯის, განათებისა და აქსესუარების შოურუმი.

სამომავლო გეგმების დასახვა და განვითარება მენეჯმენტის მუდმივი ზრუნვის საგანია. მიმდინარეობს თბილისში, წერეთლის გამზ. #116-ში მდებარე ფილიალის გაფართოების სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმება მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს, რის შემდეგაც აღნიშნულ ფილიალს დაემატება 200 კვადრატული მეტრის ფართობის შოურუმი და სასაწყობო ფართი. 2018 წლის ნოემბრისთვის დაგეგმილია ასევე ბათუმში არსებული ავეჯის სალონის გაფართოება დამატებით 200 კვადრატული მეტრით. პრიორიტეტულია სასაქონლო მარაგებში ინვესტიციის გაზრდა და ახალი ბრენდების დამატება. ასევე განიხილება ქსელის გაფართოება იმ გეოგრაფიულ არეალებში, რომლებიც ჯერ არ გვაქვს ათვისებული.

რისკების მხრივ, როგორც იმპორტიორი კომპანიისთვის, მნიშვნელოვანი საკითხია სავალუტო კურსის სტაბილურობა, რადგანაც დევალვაციის შედეგად საკურსო სხვაობიდან წარმოიშვება დამატებითი ფინანსური ხარჯები, ასევე არასახარბიელო გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და შედეგად პროდუქციის რეალიზაციაზე. თუმცა მყარი ფინანსური საფუძველის ხარჯზე ვთვლით, რომ აქამდე არსებულ გამოწვევებს თავი წარმატებით გავართვით. სხვა ფინანსური ან სხვა რისკები კომპანიის წინაშე არ დგას.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ახალი ნათების“ გენერალური დირექტორის ზურაბ გაბინაშვილისა და აღმასრულებელი დირექტორის თემურ არდოტელის მიერ 2018 წლის 24 სექტემბერს:

ზურაბ გაბინაშვილი

თემურ არდოტელი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2018 წლის 24 სექტემბერს:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი



შპს „ახალი ნათება“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 5

მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

24 სექტემბერი, 2018 წელი



შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016	შენიშვნა
	GEL	GEL	GEL	
მიმდინარე აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	115,446	71,752	63,709	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	355,246	497,101	269,142	6
გადახდილი ავანსები	721,632	660,517	457,908	7
მარაგები	9,652,325	9,020,870	8,220,331	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	93,598	9,676	636	9
სხვა მიმდინარე აქტივები	59,456	32,555	33,914	
მიმდინარე აქტივები სულ:	10,997,703	10,292,470	9,045,640	
გრძელვადიანი აქტივები :				
ძირითადი საშუალებები	8,173,232	7,890,407	6,890,839	10
არამატერიალური აქტივები	114,377	132,874	33,901	
ბიოლოგიური აქტივები	36,569	33,682	30,112	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	35,276	35,276	35,276	
გრძელვადიანი აქტივები სულ:	8,359,453	8,092,238	6,990,128	
აქტივები სულ:	19,357,156	18,384,708	16,035,767	
მიმდინარე ვალდებულებები:				
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,057,190	1,189,797	754,226	11
მიღებული ავანსები	451,001	260,580	224,847	12
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	165,525	3,509,620	2,706,625	14
გადასახდელი გადასახადები	226,722	167,827	99,216	9
გადასახდელი დივიდენდები	266,360	117,632	-	13
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12,019	10,942	53,830	
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	2,178,817	5,256,397	3,838,744	
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
მიღებული გრძელვადიანი სესხები	4,109,511	841,000	629,367	14
გადავადებული მოგების გადასახადი	-	-	178,460	
გრძელვადიანი გადასახდელი დივიდენდები	296,009	562,368	680,000	13
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	11,056	21,005	-	15
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	4,416,576	1,424,374	1,487,826	
ვალდებულებები სულ:	6,595,393	6,680,770	5,326,570	
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000	2,000	16
გაუნაწილებელი მოგება	12,759,762	11,701,938	10,707,197	
მ.შ მიმდინარე წლის მოგება	1,057,824	994,741	-	
კაპიტალი სულ:	12,761,762	11,703,938	10,709,197	
ვალდებულებები და კაპიტალი სულ:	19,357,156	18,384,708	16,035,767	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 24 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი
ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 37-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2017 GEL	2016 GEL	შენიშვნა
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	18,245,401	17,023,929	17
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(10,418,055)	(9,659,808)	18
საერთო მოგება	7,827,346	7,364,121	
მიწოდების ხარჯები	(4,397,514)	(3,728,255)	19
ცვეთის ხარჯები	(823,113)	(733,723)	
გაუფასურების რეზერვის ხარჯები	(3,208)	(32,811)	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,330,976)	(1,299,311)	20
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	1,272,536	1,570,021	
ფინანსური შემოსავალი	89,879	1,748	
ფინანსური ხარჯები	(350,037)	(322,177)	21
მოგება / (ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	(129,159)	(456,185)	22
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	174,605	47,810	23
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	(214,712)	(728,804)	
მოგება დაბეგვრამდე:	1,057,824	841,217	
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(24,936)	
საგადასახადო შემოსავალი	-	178,460	
მოგება დაბეგვრის შემდეგ :	1,057,824	994,741	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება:	1,057,824	994,741	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 24 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 37-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2017 GEL	2016 GEL
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	21 382 605	19 495 489
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	-	4 647
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები	-	4 110
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(13 636 233)	(12 920 021)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(2 253 187)	(2 130 351)
სამიწვლინებო ხარჯების ანაზღაურება	(93 676)	(109 933)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(5 946)	-
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(3 596 978)	(3 146 189)
გადახდილი მოგების გადასახადი	(57 860)	(174)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(75 601)	(59 184)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	1 663 125	1 138 393
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(1 108 833)	(1 439 299)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი	123 676	1 316
სესხების გაცემა	-	(1 900)
გაცემული სესხების დაბრუნება	-	1 900
მიღებული პროცენტები	113	1 144
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(985 044)	(1 436 839)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	13 798 778	13 914 182
სესხების დაფარვა	(13 964 947)	(13 285 778)
გადახდილი პროცენტები	(328 056)	(314 125)
გადახდილი დივიდენდები	(111 750)	-
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(605 974)	314 279
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(28 412)	(7 791)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	43 694	8 043
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	71 752	63 709
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	115 446	71 752

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 24 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი -----  ----- **თემურ არდოტელი**

ფინანსური მენეჯერი -----  ----- **თეა გიგიაშვილი**

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 37-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი GEL	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი GEL	სულ საკუთარი კაპიტალი GEL
ნაშთი 01.01.2016-თვის	2 000	10 707 197	10 709 197
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	994 741	994 741
ნაშთი 31.12.2016-თვის	2 000	11 701 938	11 703 938
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	1 057 824	1 057 824
ნაშთი 31.12.2017-თვის	2 000	12 759 762	12 761 762

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 24 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 37-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



კომპანიის ამონაგებმა 2016 წელს 17,0 მილიონი ლარი, ხოლო 2017 წელს - 18,2 მილიონი ლარი შეადგინა (ზრდა - 7%).

2016 წლის სახელფასო ფონდმა 2 684,4 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2017 წელს 2 933,3 ათასი ლარი (ზრდა - 9%).

ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2016 წელს გადახდილი აქვს 3 140,9 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს 3 648,1 ათასი ლარი (ზრდა - 16%);

იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის ისტორია სათავეებს იღებს 90-იან წლებში, მისი დამფუძნებლების მიერ ე.წ. „ელიავას“ ბაზრობის დახლიდან მცირე კაპიტალით დაწყებული საქმიანობით, ზემოთ აღწერილი ფინანსური მაჩვენებლები ძალიან წარმატებული შედეგია.

2018 წელს აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.-ზე მდებარე ცენტრალურ ფილიალს დაემატა ახალი 1 400 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე ავეჯის, განათებისა და აქსესუარების შოურუმი.

სამომავლო გეგმების დასახვა და განვითარება მენეჯმენტის მუდმივი ზრუნვის საგანია. მიმდინარეობს თბილისში, წერეთლის გამზ. #116-ში მდებარე ფილიალის გაფართოების სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმება მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს, რის შემდეგაც აღნიშნულ ფილიალს დაემატება 200 კვადრატული მეტრის ფართობის შოურუმი და სასაწყობო ფართი. 2018 წლის ნოემბრისთვის დაგეგმილია ასევე ბათუმში არსებული ავეჯის სალონის გაფართოება დამატებით 200 კვადრატული მეტრით. პრიორიტეტულია სასაქონლო მარაგებში ინვესტიციის გაზრდა და ახალი ბრენდების დამატება. ასევე განიხილება ქსელის გაფართოება იმ გეოგრაფიულ არეალებში, რომლებიც ჯერ არ გვაქვს ათვისებული.

რისკების მხრივ, როგორც იმპორტიორი კომპანიისთვის, მნიშვნელოვანი საკითხია სავალუტო კურსის სტაბილურობა, რადგანაც დეველვაციის შედეგად საკურსო სხვაობიდან წარმოიშვება დამატებითი ფინანსური ხარჯები, ასევე არასახარბიელო გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პოლიტიკაზე და შედეგად პროდუქციის რეალიზაციაზე. თუმცა მყარი ფინანსური საფუძველის ხარჯზე ვთვლით, რომ აქამდე არსებულ გამოწვევებს თავი წარმატებით გავართვით. სხვა ფინანსური ან სხვა რისკები კომპანიის წინაშე არ დგას.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ახალი ნათების“ გენერალური დირექტორის ზურაბ გაბინაშვილისა და აღმასრულებელი დირექტორის თემურ არდოტელის მიერ 2018 წლის 24 სექტემბერს:

ზურაბ გაბინაშვილი

თემურ არდოტელი



Handwritten signatures in blue ink are present over two horizontal dashed lines. To the right of the signatures is a circular blue stamp. The stamp contains the text "საქონლმწოდება" (Goods Manufacturer) at the top, a star symbol, and "NEW LIGHT LTD" at the bottom. In the center of the stamp is a stylized logo consisting of the letters "NL". At the bottom of the stamp, the identification number "202066156" is printed.